

# მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლა

## ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა „მედიცინა“

სწავლების საფეხური: უმაღლესი განათლების მეორე საფეხური

კვალიფიკაციათა ჩარჩოს დონე კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს VII დონე

ფართო სფერო: ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა

Health and Welfare

ვიწრო სფერო: ჯანდაცვა (Health)

დეტალური სფერო: მედიცინა Medicine

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი

Medical doctor (MD)

პროგრამის ხაგრძლივობა: 6 წელი (12 სემესტრი)

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 360 კრედიტი

**პროგრამაზე სწავლის წინაპირობა:** პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების, შიდა/გარე მობილობის განხორციელების და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ილია მესხი

## პროგრამის მიზანი და ამოცანები

პროგრამის მიზანია კომპეტენტური, პაციენტის მიმართ გულისხმიერი და ზრუნვაზე ორიენტირებული დიპლომირებული მედიკოსების მომზადება, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი ცოდნით და კლინიკური/კვლევითი უნარებით; რომლებიც აქტიურად იქნებიან ჩართულნი სწავლაში მთელი სიცოცხლის მანძილზე და წვლილს შეიტანენ საზოგადოების კეთილდღეობაში.

პროგრამის ამოცანებია:

1. ბიოსამედიცინო, კლინიკურ და სოციალურ მეცნიერებებში თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი კურსდამთავრებულების მომზადება;
2. კურსდამთავრებულთა შორის შესაბამისი კვლევითი და კლინიკური უნარ-ჩვევების განვითარების უზრუნველყოფა;
3. მაღალი ეთიკურ ღირებულებებისა და პროფესიული იერის ჩამოყალიბება, კოლეგებთან და პაციენტებთან ეფექტური კომუნიკაციური უნარების გამომუშავება;
4. კურსდამთავრებულთა შორის ცოდნის უწყვეტი განვითარებისადმი ცნობიერების ამღვლეა და შესაბამისი უნარების გამომუშავება;
5. საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესება ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და ავადობის პრევენციის გზით.

პროგრამის მიზნები უნივერსიტეტის მისიის, მიზნების და სტრატეგიული გეგმის შესაბამისია. ის საჯარო, ხელმისაწვდომი და გაზიარებულია პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული მხარეების მიერ.

## პროგრამის სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

ზოგადი კომპეტენციები	
ცოდნა და გაცნობიერება	<p>კურსდამთავრებული:</p> <ul style="list-style-type: none"><li>➤ ავლენს როგორც თეორიული პრინციპების, ასევე მედიცინაში გამოყენებული კვლევითი მეთოდოლოგიის სიღრმისეულ ცოდნას სამედიცინო სფეროსათვის სპეციფიკურ დისციპლინებში;</li><li>➤ კრიტიკულად უდგება ახალ ინფორმაციას;</li><li>➤ ანალიზებს და აერთიანებს სხვადასხვა სახის ინფორმაციას, სათანადო დასკვნების გამოტანისა და მათი შემდგომი თვით-განვითარებისათვის გამოყენების მიზნით.</li></ul>

<p><b>უნარები</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ კომპლექსური ხასიათის პრობლემის მულტიდისციპლინურ გუნდში გადაწყვეტა, უახლესი ინფორმაციის გამოყენების გზით;</li> <li>➤ კვლევის განხორციელება, ვალიდური და თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით;</li> <li>➤ შეგროვილი ინფორმაციის პროფესიულ საქმიანობაში გამოყენება;</li> <li>➤ დროის მართვის, მომავალი აქტივობების სწორად დაგეგმვისა, მათ შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღებისა და რესურსების ეფექტურად გადანაწილების უნარები;</li> <li>➤ საგანმანათლებლო და საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება;</li> <li>➤ შეხვედრებში მონაწილეობა და საკუთარი აზრის ვერბალური და წერილობითი ფორმით ნათლად გადმოცემა</li> <li>➤ სამედიცინო სფეროსთან დაკავშირებული როგორც ეთიკური, ასევე სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად მოქმედება და პაციენტის უფლებების დაცვა;</li> <li>➤ პროფესიული სახის მოლაპარაკებების წარმოება და კონფლიქტის მოგვარება ნებისმიერ პირთან, მათი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად;</li> <li>➤ კოლეგებთან და პაციენტებთან სათანადო კომუნიკაცია, სამართლიანობის პრინციპისა და სოციალ-დემოკრატიული ღირებულებების დაცვით.</li> </ul>
<p><b>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ სამუშაო ჯგუფში ადაპტაცია</li> <li>➤ შესაბამისი რესურსების ეფექტურად დაგეგმვა და ადეკვატურად გადანაწილება, მოსალოდნელ აქტივობებთან შესაბამისად:</li> <li>➤ სამუშაოს შესრულებაზე პასუხისმგებლობა;</li> <li>➤ მუდმივად სწავლისა და სიახლეების კურსში ყოფნის მნიშვნელობის გაცნობიერება;</li> <li>➤ გუნდის გაძლიერებისა და პროფესიული სუბორდინაციის დაცვის უნარი/ ახალი ინფორმაციის მოპოვებისა და მისი გამოყენების უნარი.</li> </ul>
<p><b>დარგობრივი კომპეტენციები</b></p>	
<p><b>დარგობრივი ცოდნა</b></p>	

<b>1. ბიოსამედიცინო, ქცევითი, სოციალური, კლინიკური მეცნიერებები და დარგის ფუნდამენტური პრინციპები</b>	
<b>დარგობრივი უნარები</b>	
<b>2. პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ ანამნეზის შეკრება;</li> <li>➤ ფიზიკური გამოკვლევის ჩატარება;</li> <li>➤ პაციენტის ფსიქოემოციური მდგომარეობის სტატუსის შეფასება;</li> <li>➤ ვალიდური კლინიკური გადაწყვეტილებების მიღება;</li> <li>➤ პაციენტათვის განმარტებების, რჩევების მიცემა და მხარდაჭერის აღმოჩენა.</li> </ul>
<b>3. კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ დაავადების კლინიკური მანიფესტაციის სირთულის იდენტიფიცირება და შეფასება;</li> <li>➤ შესაბამისი გამოკვლევების დანიშვნა და შედეგების ინტერპრეტაცია;</li> <li>➤ დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება;</li> <li>➤ პაციენტის პრობლემების საპასუხოდ, კლინიკური პრობლემის ეფექტურად გადაჭრის და გადაწყვეტილების მიღების უნარის დემონსტრირება, მათ შორის არსებულ მონაცემთა ინტერპრეტაციითა და ინფორმაციის ინტეგრირებით დიფერენციული დიაგნოზის გატარება და მართვის გეგმის შემუშავება;</li> <li>➤ პაციენტთან და მის გარემოცვასთან კოლაბორაციით, პაციენტის მდგომარეობის მართვის გეგმის შემუშავება;</li> <li>➤ ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის და მისი გარემოცვის მიმართ მზრუნველობა;</li> <li>➤ ქრონიკული დაავადების მართვა, პაციენტის ასაკის, ქრონიკული დაავადების სახის, და ფსიქოლოგიური ზეგავლენის გათვალისწინებით და შესატყვისი სამკურნალო საშუალებების სათანადო გამოყენება.</li> </ul>

<p><b>4. გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს დახმარების გაწევა (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებები)</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების იდენტიფიცირება და შეფასება;</li> <li>➤ გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების მართვა;</li> <li>➤ ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით (ბავშვებში, ხანდაზმულებში);</li> <li>➤ ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი ღონისძიებების განხორციელება აქტუალური სახელმძღვანელო პრინციპების (გაიდლაინების) შესაბამისად;</li> <li>➤ აქტუალური სახელმძღვანელო პრინციპების (გაიდლაინების) შესაბამისი გაფართოებული სიცოცხლისშემანარჩუნებელი ღონისძიებების ჩატარება;</li> <li>➤ სიცოცხლის გასაუმჯობესებელი ზომების მიღება, თანამედროვე გაიდლაინების თანახმად;</li> <li>➤ ტრავმების მართვა აქტუალური გაიდლაინების შესაბამისად.</li> </ul>
<p><b>5. მედიკამენტების გამოწერა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ მედიკამენტების ნათლად და მართებულად გამოწერა, პაციენტის ასაკის გათვალისწინებით;</li> <li>➤ კლინიკურ კონტექსტთან შესაბამისი წამლების დაკავშირება;</li> <li>➤ მედიკამენტებისა და სხვა სახის მკურნალობების შესაბამისობის განხილვა და პაციენტისათვის პოტენციური სარგებლისა და რისკის შეფასება;</li> <li>➤ პაციენტისათვის დანიშნული წამლების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება</li> <li>➤ ტკივილისა და დისტრესის მართვა;</li> <li>➤ მკურნალობის დანიშვნისას მედიკამენტების თავსებადობისა და ურთიერთქმედების გათვალისწინება;</li> <li>➤ წამლების ურთიერთქმედების შესაძლებლობების, და არასასურველი ეფექტების იდენტიფიცირება და აღრიცხვა.</li> </ul>

**6. პრაქტიკული პროცედურების ჩატარება**

- სასიცოცხლო ნიშნების: პულსი, სუნთქვა, ტემპერატურა, განსაზღვრა;
- წნევის გაზომვა;
- პერიფერიული ვენის ვენოპუნქტურა (სიმულატორის გამოყენებით);
- პერიფერიული ვენის კათეტერიზაცია (სიმულატორის გამოყენებით);
- სამკურნალო საშუალებების ვენაში შეყვანა და ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება (სიმულატორის გამოყენებით)
- კანქვეშ ან/და კუნთში ინექციის განხორციელება (სიმულატორის გამოყენებით ან პაციენტზე, ზედამხედველობის ქვეშ);
- ჟანგბადის მიწოდება;
- პაციენტის ტრანსპორტირება და მათთან მოპყრობა;
- ნაკერის დადება (სიმულატორის გამოყენებით);
- შარდის ბუშტის კათეტერიზაცია (სიმულატორის გამოყენებით)
- შარდის ანალიზის ჩატარება (სკრინინგ-ტესტების და–Dipstick მეთოდით);
- ელექტროკარდიოგრამის გადაღება;
- ელექტროკარდიოგრამის ინტერპრეტაცია;
- სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტების ჩატარება.

<p><b>7. სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაცია</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ პაციენტთან კომუნიკაცია;</li> <li>➤ კოლეგებთან კომუნიკაცია;</li> <li>➤ კომუნიკაცია ცუდი ამბის შეტყობინებისას;</li> <li>➤ პაციენტის გარემოცვასთან კომუნიკაცია;</li> <li>➤ შეზღუდული შესაძლებლობების ან/და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებთან კომუნიკაცია;</li> <li>➤ კომუნიკაცია ინფორმირებული თანხმობის მიღების მიზნით;</li> <li>➤ წერილობითი კომუნიკაცია (მათ შორის სამედიცინო ჩანაწერების წარმოება);</li> <li>➤ აგრესიასთან და კონფლიქტურ სიტუაციებთან გამკლავება და შესაბამისი კომუნიკაცია;</li> <li>➤ კომუნიკაცია პაციენტებთან, ვისაც ესაჭიროებათ დამხმარე პირი; (თარგმნას ან/და გადმოცემაში)</li> <li>➤ კომუნიკაცია სამართლებრივ ორგანიზაციებთან და მასობრივი ინფორმაციის წყაროებთან;</li> <li>➤ კომუნიკაცია ნებისმიერ პირთან, მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური და ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად;</li> <li>➤ პაციენტზე ორიენტირებული ინტერვიუს წარმოება, რელევანტური ბიოსამედიცინო და ფსიქოლოგიური ინფორმაციის ეფექტურად შეკრების მიზნით;</li> <li>➤ სათანადო კომუნიკაციური უნარებისა და სტრატეგიების გამოყენება, პაციენტთა და მათი გარემოცვისათვის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების გამარტივების მიზნით.</li> </ul>
<p><b>8. სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ კონფიდენციალურობის დაცვა;</li> <li>➤ ეთიკური პრინციპებისა და ანალიტიკური უნარების გამოყენება კლინიკური საქმიანობის დროს;</li> <li>➤ ინფორმირებული თანხმობის მიღება და შესაბამისი ჩანაწერის ჯეროვნად გაკეთება;</li> <li>➤ სიკვდილის ცნობის გაცემა;</li> <li>➤ ავტოფსიის მოთხოვნა (საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად);</li> <li>➤ მკურნალობისას საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობის მოქმედი ნორმების გამოყენება;</li> <li>➤ სამედიცინო საქმიანობის მულტიკულტურულ საზოგადოებაში წარმართვა;</li> <li>➤ პაციენტის ღირსებისა და უფლებების პატივისცემა, მათ შორის სამედიცინო ხასიათის გადაწყვეტილების მიღების და სამედიცინო დახმარების არჩევანის უფლება</li> </ul>

<p><b>9. პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ დაავადების გამოვლინებისა და მისი პაციენტზე ზემოქმედების ფსიქოლოგიური ფაქტორების შეფასება;</li> <li>➤ დაავადების გამოვლინებისა და მისი პაციენტზე ზემოქმედების სოციალური ფაქტორების შეფასება;</li> <li>➤ დაავადებასთან დაკავშირებული სტრესის ამოცნობა და იდენტიფიცირება;</li> <li>➤ წამალსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულების ამოცნობა;</li> <li>➤ პაციენტზე ორიენტირებული ინტერვიუს წარმართვის უნარი, ბიოსამედიცინო და ფსიქოლოგიური ხასიათის ინფორმაციის შეკრებისას;</li> <li>➤ პაციენტის არავერბალური ქცევების გათვალისწინება, დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქო-სოციალური ფაქტორების ამოცნობის მიზნით.</li> </ul>
<p><b>10. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ საექიმო საქმიანობაში მტკიცებულებების გამოყენება;</li> <li>➤ შესაბამისი ლიტერატურული კვლევის სწორად განსაზღვრა და ჩატარება;</li> <li>➤ გამოქვეყნებული ლიტერატურის კრიტიკულად შეფასების, დასკვნების გამოტანისა და მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარი;</li> <li>➤ სხვადასხვა ლიტერატურული წყაროდან მტკიცებულებების მოპოვების და მტკიცებულებების ხარისხის შეფასების საფუძველზე პაციენტის მდგომარეობისათვის რელევანტური გადაწყვეტილების გამოტანის უნარი.</li> </ul>
<p><b>11. სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ კლინიკური ჩანაწერების სათანადოდ წარმოება და შენახვა სრული სახით;</li> <li>➤ სამედიცინო პრაქტიკის ფარგლებში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება;</li> <li>➤ სპეციფიკური საინფორმაციო რესურსების მოძიების უნარი;</li> <li>➤ ინფორმაციის შენახვის და შემდგომში გამოყენების უნარი;</li> <li>➤ პირადი ჩანაწერების (პორტფოლიო) წარმოებისა და მათი შენახვის უნარი;</li> <li>➤ კონფიდენციალობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა, სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად;</li> <li>➤ სამედიცინო ინფორმატიკის პრინციპების, მეთოდებისა და არსებული ცოდნის მიმართ ცნობიერება და მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარი.</li> </ul>



<p>12. სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიის ცოდნა;</li> <li>➤ კვლევის დიზაინის, დეტალური დაგეგმვის, მიღებული შედეგების დამუშავებისა და დასკვნების გაკეთების უნარი;</li> <li>➤ ბიოსამედიცინო მეცნიერებების მიღწევების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი;</li> <li>➤ ბიოსამედიცინო სფეროში არსებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მიმოხილვის/მოხსენების აკადემიურ დონეზე დაწერის უნარი;</li> <li>➤ სამეცნიერო კვლევის წარმოების ეთიკური პრინციპების ცოდნა.</li> </ul>
<p>13.ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტურად მუშაობა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ პაციენტისათვის ზიანის მიყენების მინიმალური რისკის მატარებელი მკურნალობის ჩატარება;</li> <li>➤ ინფექციის გავრცელების პრევენციისათვის აუცილებელი ზომების მიღება;</li> <li>➤ საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემების გაცნობიერება და მათი ადეკვატურად შეფასება, პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებით;</li> <li>➤ ჯანდაცვის ხელშეწყობ ღონისძიებებში ჩართულობა ინდივიდისა და პოპულაციის დონეზე;</li> <li>➤ ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებისათვის ლიდერული თვისებების გამოვლენა;</li> <li>➤ ჯანდაცვის სისტემაში ცვლილებების განხორციელების ხელშეწყობა, სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით;</li> <li>➤ პაციენტებთან და მათ ოჯახის წევრებთან მუშაობა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევების დანერგვისა და გაუმჯობესების მიზნით;</li> <li>➤ საზოგადოებისა და პოპულაციის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში წვლილის შეტანა.</li> </ul>
<p>14. პროფესიონალიზმი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ პროფესიონალიზმის ზოგადი მასახასიათებლები;</li> <li>➤ მიუკერძოებლობა, კეთილსინდისიერება და ეთიკის პრინციპების დაცვა;</li> <li>➤ სამედიცინო საქმიანობის სათანადო ხარისხით განხორციელებისათვისა და პროფესიული სრულყოფისთვის მზაობა;</li> <li>➤ კრიტიკული და თვით-კრიტიკული დამოკიდებულება, კრიტიკის მიმღებლობა;</li> <li>➤ ემპათია (თანაგრძნობა);</li> <li>➤ კრეატიულობა;</li> <li>➤ ინიციატიურობა, წარმატებულობის სურვილი;</li> <li>➤ ინტერპერსონალური უნარები</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ ლიდერული უნარები</li> <li>➤ პროფესიონალიზმი საქმიანობაში</li> <li>➤ საკუთარი შესაძლებლობების საზღვრების გაანალიზება და დახმარების თხოვნის უნარი</li> <li>➤ საჭიროებისამებრ დამოუკიდებლად საქმიანობის უნარი</li> <li>➤ პრობლემების გადაწყვეტის უნარი</li> <li>➤ გადაწყვეტილების მიღების უნარი</li> <li>➤ მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობის უნარი</li> <li>➤ სხვა დისციპლინების ექსპერტებთან კომუნიკაციის უნარი</li> <li>➤ სხვათა გაძღობის უნარი</li> <li>➤ ახალ სიტუაციებთან მორგების უნარი</li> <li>➤ ორგანიზაციული, დაგეგმვის და დროის მართვის უნარები</li> <li>➤ <i>ექიმი, როგორც ექსპერტი</i></li> <li>➤ ანალიზისა და დასკვნების გაკეთების უნარი</li> <li>➤ სწავლის (მათ შორის პროფესიული, ცხოვრების განმავლობაში სწავლა) უნარი</li> <li>➤ ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი</li> <li>➤ სხვათათვის სწავლების უნარი</li> <li>➤ სამეცნიერო-კვლევითი უნარები</li> <li>➤ <i>ექიმი გლობალურ კონტექსტში</i></li> <li>➤ მრავალფეროვნებისა მიმართ ცნობიერება და მულტიკულტურულ საზოგადოებაში მუშაობის უნარი</li> <li>➤ სხვა ქვეყნების კულტურისა და მასთან დაკავშირებული თავისებურებების გაცნობიერება</li> <li>➤ საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით მუშაობის უნარი</li> <li>➤ ზოგადი ცოდნა, სამედიცინო სფეროს მიღმა</li> </ul>
--	--

### **მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა**

პროგრამის ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი ანუ 12 სემესტრია და მოიცავს 360 კრედიტს (1 კრედიტი = 30 საათი; პროგრამის 360 კრედიტი= 10800 სთ).

პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და მოიცავს: სასწავლო კურსებს (ლექციები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი და სხვ. შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარება). სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 900 სთ., ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

## საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

დიპლომამდელი სამედიცინო პროგრამის კურიკულუმი ნაწილობრივ ინტეგრირებულ, სისტემაზე დაფუძნებულ ხასიათს ატარებს, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური ინტეგრაცია დისციპლინებს შორის სპირალური მოდელი ითვალისწინებს საბაზისო საგნების სიღრმისეულ გადახედვას სწავლების მაღალ კურსებზე და მათ განხილვას კლინიკურ დისციპლინებთან კორელაციაში. ვერტიკალური ინტეგრაციის მაგალითები: „დაავადების განვითარება და მართვა“ – პათოლოგია, ფარმაკოლოგია, რადიოლოგია, ქირურგია და ონკოლოგია – VI სემესტრის განმავლობაში; „ქალის, კაცის და ბავშვის ჯანმრთელობა“ – სისტემების პათოლოგია, გინეკოლოგია, უროლოგია და პედიატრია – X სემესტრის განმავლობაში; ჰორიზონტალური ინტეგრაციის მაგალითები: საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა, რომელიც აერთიანებს ანატომიის, ჰისტოლოგიის, ემბრიოლოგიის, რადიოლოგიის და ტრავმატოლოგია/ორთოპედიის კომპონენტებს – I სემესტრის განმავლობაში; „თავის არეში არსებული დაავადებები“ – ოტორინოლარინგოლოგია, ოფთალმოლოგია, ნეიროქირურგია, ნევროლოგია და ფსიქიატრია – XII სემესტრის განმავლობაში.

### პროგრამის მახასიათებლები

#### კლინიკურ გარემოსთან ადრეული კონტაქტი

სტუდენტი პირველი 4 სემესტრის განმავლობაში სრულფასოვნად არის ჩართული კლინიკურ გარემოში სწავლებაში, რითაც ადრეულ ეტაპზე აცნობიერებს ბაზისური საგნების აუცილებლობას კლინიკური დისციპლინების გააზრებასა და მომავალი დამოუკიდებელი საქიმო საქმიანობის წარმატებით განხორციელებაში. ამ 4 სემესტრის განმავლობაში თანმიმდევრულად და სრულფასოვნად ისწავლება 4 კლინიკური დისციპლინა: ტრავმატოლოგია/ორთოპედია – ტრავმული და თანდაყოლილი დაზიანებების მართვა და მათი ქირურგიული მკურნალობის პრინციპები, ენდოვასკულური მედიცინა/ინტერვენციული კარდიოლოგია – მცირეინვაზიური ჩარევის მეთოდები გულის და სისხლძარღვთა დაზიანებების დროს, მეანობა – ორსულობა, როგორც ნორმა, და ნორმული მშობიარობის მიღება, ნევროლოგია – ტოპიკური დიაგნოზის დასმა ნეიროანატომიის ცოდნის გამოყენებით. აღნიშნული კლინიკური დისციპლინებიდან მოცემულ ეტაპზე არ ისწავლება დაავადებები. განიხილება მხოლოდ ის მდგომარეობები, რომელთა სამართავადაც საკმარისია ორგანიზმის ნორმული ფუნქციის და სტრუქტურის ცოდნა.

## **კლინიკური უნარ-ჩვევების სრულყოფა 6 წლის განმავლობაში**

კლინიკური უნარ-ჩვევები პირველივე სემესტრიდან ბოლო სემესტრის ჩათვლით ისწავლება ბაზისურ და კლინიკურ საგნებთან სრულ შინაარსობრივ ინტეგრაციაში და რთულდება კურსის მატებასთან ერთად. პირველივე 4 სემესტრის განმავლობაში სტუდენტი ეუფლება ყველა ძირითად უნარ-ჩვევას და სწავლობს მათ ბაზისურ საგნებთან ინტეგრაციაში. მაღალ კურსებზე ეცნობა და ეუფლება დარგის სპეციალისტისთვის აუცილებელ ძირითად უნარ-ჩვევებს კლინიკურ საგნებთან ინტეგრაციაში, ერთიან მოდულში. უნარ-ჩვევების გრადაცია და გართულება, ასევე, დაბალ კურსებზე ძირითადი უნარების ამოწურვა და მაღალ კურსებზე სპეციალისტებისთვის განკუთვნილი უნარების სწავლება საშუალებას აძლევს სტუდენტს სრულფასოვნად დაინახოს თითოეული კლინიკური დისციპლინების სპეციფიკა, გულდასმით აირჩიოს მისთვის მისაღები მომავალი სპეციალობა და შეძლოს რეზიდენტურის პროგრამის მარტივად დაძლევა.

## **გრძობი მოდულები**

პროფესიული განვითარება, კვლევა სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში და კლინიკური მედიცინა, ინტეგრირებული შემთხვევები კლინიკური აზროვნებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპების შესწავლას.

## **ონკოლოგიის და მძიმე მიკრობული ინფექციების გამოყოფა**

პროგრამაში ჰორიზონტალურად არის ინტეგრირებული ზოგადი პათოლოგია და ფარმაკოლოგია, გენეტიკა, მიკრობიოლოგია, იმუნოლოგია, ქირურგიის პრინციპები, ბაქტერიული ინფექციები და ონკოლოგია. სტუდენტი სწავლობს ყველა ძირითადი პათოლოგიური და სიმსივნური პროცესების მოლეკულურ საფუძვლებს, მიკროორგანიზმებს ინფექციის განვითარებასთან კორელაციაში, ყველა ტიპის იმუნურ პასუხს და იმუნოლოგიური მკურნალობის პრინციპებს, მიკროორგანიზმებით გამოწვეულ თანმხლებ დაავადებებს და სეფსისს, ტერმინალური მდგომარეობის განვითარებას და მართვის პრინციპებს. სტუდენტი სწავლებისას ორივე სემესტრის განმავლობაში გადის კლინიკურ დისციპლინებს \_ ქირურგია და ონკოლოგია სრულფასოვანი დატვირთვის შესაბამის დეპარტამენტებში. ამ ეტაპზე მსგავსი ინტეგრაციის მიზანია ფუნდამენტური პათოლოგიური პროცესების და მათი ძირითადი კლინიკური გამოვლინების და მკურნალობის პრინციპების ამოწურვა. სტუდენტი სრულად გააცნობიერებს ბაზისური ცოდნის აუცილებლობას კლინიკური დისციპლინების გააზრებაში, ხოლო ძირითადი პროცესების სიღრმისეული ცოდნა შემდგომში გაუადვილებს ცალკეული ნოზოლოგიების მარტივად შესწავლას.

## კლინიკური საგნების (მოდულების) ერთიან ბლოკში სწავლება

დაავადებების პირობითი დაყოფა ქირურგიულად და თერაპიულად გამომდინარეობდა მათი უპირატესი მკურნალობის მეთოდიდან. თანამედროვე მედიცინის და ბიოლოგიური მეცნიერებების განვითარების დონემ შეცვალა ზოგიერთი დაავადების მკურნალობის ტაქტიკა. მაგალითად, აპენდიციტის მართვა, რომელიც მკურნალობაც უპირატესად ქირურგიული იყო და შესაბამისად ითვლებოდა ქირურგიულ დაავადებად დღეს შეიძლება იმართოს მხოლოდ მედიკამენტური ჩარევით, შესაბამისად, ის აღარ განიხილება კლასიკურ „ქირურგიულ“ დაავადებად. მოდულების ერთიან ბლოკში გაერთიანებით სტუდენტი თავიდანვე სწავლობს ერთ რომელიმე დაავადებას როგორც თერაპიული, ისე ქირურგიული კუთხით. მაგალითი: VII და VIII სემესტრში „დაავადებები თერაპიული და ქირურგიული კუთხით“ I და II.

ერთიან ბლოკში გავაერთიანეთ მეანობის, ნეონატოლოგიის და პედიატრიის მოდულები, რათა სტუდენტს შეექმნას ერთიანი წარმოდგენა ნორმულ პროცესებსა და დაავადებებზე განაყოფიერებიდან დაბადებამდე ბავშვის ადრეული განვითარების ეტაპის ჩათვლით. იგივე პრინციპის გათვალისწინებით ერთ ბლოკში გაერთიანდა გერიატრია და პალიატიური მედიცინა იმისთვის, რომ სტუდენტის მიერ მოხდეს სიცოცხლის ბოლო და დასასრული ეტაპის მართვის ერთიან კონტექსტში გააზრება. მაგალითი: IX სემესტრში „ორსული, ახალშობილი და ბავშვი“ – მეანობა, ნეონატოლოგია და პედიატრია; „დაბერება და ღირსეული სიკვდილი“ – გერიატრია და პალიატიური მედიცინა. ორივე ეს ბლოკი ისწავლება ერთ სემესტრში, რათა სტუდენტის მიერ მოხდეს ჩასახვიდან სიკვდილამდე სხვადასხვა მდგომარეობის მართვის თავისებურებებს გააზრება.

თანამედროვე კლინიკურ პრაქტიკაში არსებობს ერთი და იგივე დაავადების სხვადასხვა სპეციალისტის მიერ მართვასთან დაკავშირებული დილემა, რამაც საფუძველი დაუდო დაავადებების მკურნალობასა და მართვაში ინტეგრაციულ მიდგომას. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ატოპიური დერმატიტის მქონე ბავშვი პაციენტი, რომლის მართვა შეუძლია პედიატრს, ალერგოლოგს და დერმატოლოგს. ხშირად ვიწრო სპეციალიზაცია არ იძლევა დაავადების ერთიან კონტექსტში გააზრების საშუალებას, შედეგად პაციენტი იღებს არასრულფასოვან მკურნალობას. ერთიან მსხვილ ბლოკში ისეთი სხვადასხვა დისციპლინების გაერთიანება, რომლებიც აერთიანებს საერთო დაავადებებს საშუალებას მისცემს სტუდენტს სწავლების ეტაპზევე გაიაზროს, რომ დაავადება სინამდვილეში ერთია და მისი მართვა უნდა ხორციელდებოდეს პაციენტისთვის საუკეთესო შესაძლო გამოსავლის მიღების და არა კონკრეტული დისციპლინაში არსებული ინტერესების მიხედვით. მაგალითი: XI სემესტრში „მიკრობებისგან დაცვა და მცდარი იმუნური რეაქცია“ – ინფექციური დაავადებები, ალერგოლოგია, დერმატოლოგია, რევმატოლოგია და პედიატრია (საყრდენ-მამოძრავებელი და გულ-სისხლძარღვთა სისტემების დაავადებები).

შესაბამისად, მოდულების ერთიან ბლოკებად გაერთიანება სტუდენტს კლინიკური სწავლების ეტაპზე უქმნის წარმოდგენას თანამედროვე მედიცინის ინტეგრაციულ ბუნებაზე. ეხმარება სტუდენტს გაიაზროს ის ფაქტი, რომ სინამდვილეში დაავადება ერთია, ხოლო მისი სამართავი დისციპლინების მრავალფეროვნება განპირობებულია მედიცინის არსებული დონით რაც ხვალ შეიძლება დაექვემდებაროს გადახედვას, ანუ გაჩნდეს სუბ-სპეციალობები ან მოხდეს ცალკეული დისციპლინების გაერთიანება.

პროფესიული განვითარების მოდული მოიცავს: კომუნიკაციურ და კლინიკურ უნარებს, სამედიცინო ეთიკას, კლინიკური აზროვნების ქეისებს, პროფესიულ ქცევას, პირად გაცნობიერებულობას და საკუთარ თავზე ზრუნვას და მულტიდისციპლინურ გუნდურ მუშაობას).

### სამედიცინო პროგრამა იყოფა 4 ფაზად

#### I ფაზა - ნორმა და მისი შეფასება (I-II კურსი)

მედიცინის საფუძვლების ფაზა მოიცავს ბიოსამედიცინო მეცნიერებებისა და ადამიანის ორგანიზმის აგებულება-ფუნქციის შესახებ ძირეულ კონცეფციებს. პირველი ორი კურსის განმავლობაში, სტუდენტები გაეცნობიან ადამიანის სხეულის აგებულებას, სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებს და აღნიშნულ სფეროში კვლევის პრინციპებს, პროფესიულ განვითარებას (კომუნიკაციური და პროცედურული უნარები, სამედიცინო ეთიკა), ნეირომეცნიერებებს. აღნიშნული ინტეგრირებული მოდულების სწავლება განხორციელდება სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით (ინტერაქციული ლექციები, როლური თამაშები, პრაქტიკული მუშაობა, სიმულაციურ ლაბორატორიაში მუშაობა და სხვ.). სტუდენტები დაეუფლებიან საკვანძო პრაქტიკულ უნარებს (პაციენტთან ინტერვიუ) კლინიკურ გარემოში. სიმულაციური სწავლების გზით სტუდენტები მიიღებენ გამოცდილებაზე დაყრდნობილ ცოდნას; ასევე კონკრეტული კლინიკური შემთხვევების ვირტუალური დისექციის და მანეკენებზე განხილვის მეშვეობით სტუდენტები შეისწავლიან ანატომიას. ამასთან, მეორე კურსიდან სტუდენტები ჩაერთვებიან პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL - problem-based learning) კურსში, რომელსაც გრძივი ხასიათი ექნება. პირველი ფაზის მანძილზე სტუდენტები სრულფასოვნად ჩაერთვებიან და ცოდნის დონის ფარგლებში შეისწავლიან 4 კლინიკური დისციპლინის გარკვეულ პრინციპებს: ტრავმატოლოგია/ორთოპედია, ენდოვასკულური მედიცინა/ ინტერვენციული კარდიოლოგია, მეანობა და ტოპიკური დიაგნოზის დასმა ნევროლოგიაში.

#### II ფაზა - დაავადება და მისი მართვა (III კურსი)

მეორე ფაზის განმავლობაში (პრეკლინიკური კურსი) ძირითადი ყურადღება ეთმობა შესავალს კლინიკურ მედიცინაში, (პროპედევტიკა და კლინიკური უნარები), ზოგად პათოლოგიას და ფარმაკოლოგიას. აღნიშნული ფაზა ძირითადად ორიენტირებულია იმ დაავადებათა ყველაზე ხშირ სიმპტომებსა და ნიშნებზე, რომლებიც ყველაზე ნათლად ასახავს აღნიშნული დისციპლინების ძირითად კონცეფციებს. ამასთან, სტუდენტები სრულყოფენ ფიზიკური გასინჯვის უნარებს. III კურსის განმავლობაში სტუდენტები სწავლობენ დიაგნოსტიკურ აზროვნებას სხვადასხვა სამედიცინო მიმართულების შემთხვევების განხილვის გზით, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მიღებული ცოდნის ინტეგრირებას და ამზადებს სტუდენტებს კლინიკური საგნების სრულფასოვნად აღქმისაკენ, რომელთა ინიცირებაც პროგრამაში შემდეგი წლიდან ხდება. ამავე დროს, სტუდენტი სრულფასოვნად სწავლობს ქირურგიის პრინციპებს, ბაქტერიულ ინფექციებს და ონკოლოგიას. საბაზისო კლინიკური ცოდნა და აზროვნება მნიშვნელოვნად გაუადვილებს სტუდენტს მომდევნო კურსებზე დაავადებათა გააზრებას. პროფესიული განვითარების გრძივი მოდულის ფარგლებში სტუდენტები ერთვებიან კლინიკური პრობლემის გადაჭრის პროცესში, რაც თავის მხრივ ხორციელდება სხვადასხვა კლინიკური სცენარების ცენტრ მეთოდით ძირითადი აქცენტი კეთდება სტუდენტებს შორის როგორც სიღრმისეულ ანალიზსა და ინფორმაციის სინთეზზე, ასევე მის პრაქტიკულ გამოყენებაზე კლინიკურ კონტექსტში.

### **III ფაზა - ძირითადი კლინიკური საგნები (IV კურსი)**

IV კურსების განმავლობაში სტუდენტები სწავლობენ სისტემაზე დაფუძნებულ პათოლოგიას კლინიკურ ფარმაკოლოგიას და კლინიკური როტაციების სახით ძირითად კლინიკურ საგნებს, ასევე, სისტემაზე დაფუძნებულად – შინაგანი მედიცინა და ქირურგია. ამით ხორციელდება ძირითადი ნოზოლოგიების პათოგენეზის, მკურნალობის მედიკამენტური და ქირურგიული პრინციპების სიღრმისეული შესწავლა და გააზრება. ამის პარალელურად, სტუდენტები აგრძელებენ პროფესიულ განვითარებას, რომელიც მოიცავს პროფესიული ქცევის სრულყოფას კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრსა და კლინიკურ გარემოში. აღნიშნული მოდულების სწავლება ხდება როგორც ამბულატორიულ, ასევე კლინიკურ გარემოში. თითოეული როტაციის დასასრულს, სტუდენტი აზარებს ინტეგრირებულ გამოცდას.

### **IV ფაზა - ძირითადი კლინიკური დისციპლინები (V-VI კურსი)**

V-VI, დამამთავრებელი კურსების განმავლობაში, სტუდენტებს ექნებათ საშუალება სიღრმისეულად შეისწავლონ ცალკეული დისციპლინები ერთიან ბლოკებად (მაგ.: ინფექციური სნეულებები, ალერგოლოგია, რევმატოლოგია და დერმატოლოგია; გინეკოლოგია, უროლოგია და პედიატრია და სხვ.), რაც მათ საშუალებას მისცემს დაინახონ დაავადება ინტეგრაციული მედიცინის კუთხით, ხოლო მომავალში პაციენტს შესთავაზონ მისთვის საუკეთესო შესაძლო მკურნალობის მეთოდი და უზრუნველყონ დაავადების საუკეთესო შესაძლო გამოსავალი. ბლოკებისგან განცალკევებულად, მაგრამ შინაარსობრივ ინტეგრაციაში

ისწავლება საოჯახო მედიცინა, გადაუდებელი და კრიტიკული მედიცინა, ენდოკრინოლოგია და სხვა. სტუდენტი ეუფლება ყველა ძირითად დისციპლინას რათა მომავალში მიიღოს მისთვის ყველაზე ოპტიმური გადაწყვეტილება სპეციალიზაციის არჩევის კუთხით. სპირალური კურიკულუმის მოთხოვნებისა და ინტეგრაციის პრინციპების თანახმად, დამამთავრებელი კურსების მოდულების ფარგლებში ხდება საბაზისო საგნების (მაგ: სისტემების პათოლოგია, კლინიკური გენეტიკა) ძირეული სწავლების გაგრძელება. ამავე კურსის ფარგლებში, სტუდენტების მცირე ჯგუფს ეძლევა სხვადასხვა ამბულატორიული და ჰოსპიტალური კლინიკური დავალება, რომელთა შესრულებაც ამახადებს დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს მომავალი სპეციალიზაციისა და დიპლომის შემდგომი სარეზიდენტო პროგრამისათვის. დამამთავრებელი კურსის ბოლოს, სტუდენტები აბარებენ ინტეგრირებულ გამოცდას (MCQ/OSCE).

### სწავლება-სწავლის მეთოდები

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მქონე სპეციალისტის მომზადებას.

მედიცინის პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მქონე სპეციალისტის მომზადებას. სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება ისეთი მეთოდები როგორცაა: ინტერაქტიული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სწავლება-სწავლის მეთოდები თავის მხრივ მოიცავენ სხვადასხვა აქტივობებს: ახსნა-განმარტებას, დემონსტრირებას, შემთხვევის ანალიზს (Case study), კლინიკურ გარემოში სწავლას, კლინიკურ და სიმულაციურ გარემოში სწავლებას, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას (PBL), კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებას (CBL), კლინიკურ აზროვნებას (CBCR), როლურ თამაშს, ჯგუფურ მუშაობას, კლინიკურ როტაციებს საუნივერსიტეტო/სასწავლო დაწესებულებებში: ავადმყოფის საწოლთან სწავლებას, პაციენტებთან კომუნიკაციას, პაციენტებთან (ამბულატორიულ და ჰოსპიტალიზებულ პაციენტებთან) პრაქტიკას, სამუშაო პრაქტიკას, პრაქტიკულ დავალებას ზედამხედველობის ქვეშ და სხვ.

კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის პროცესში გამოიყენება, როგორც კონკრეტული მეთოდები, ისე მეთოდების კომბინირება, რის შედეგადაც სწავლების პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო ბაკალავრის საქმიანობა - უფრო აქტიური. სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევა-გამოყენება მიმართულია სასწავლო პროცესში სტუდენტთა



აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე. სტუდენტთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალურად გათვალისწინებაზე, სტუდენტის მიერ არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევაზე.

### სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით და მოიცავს შეფასების ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 პროცენტია. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.